სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/02

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესი (დანართი №1);
2. დამტკიცდეს ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმები (დანართები – №2, №3, №4);
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სილაბუსის განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების ვებგვერდზე განთავსება;
4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 2 ივნისის №2427 „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმის და სილაბუსების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები;
5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**